პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

**КОМУНИСТИ** — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 47 (9823) | ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XXXIII წლისთავია.

საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა [illegible] გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს ხვდ[illegible] მშენებლობის ყველა დარგში ახალი წარმატებებით.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

# ხალხთა ძმურ, მეგობრულ ოჯახში

დღეს ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულია — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33 წლისთავია. ოცდაცამეტი წლის წინათ ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მოიშორა საძულველი მენშევიკური ბატონობის მძიმე უღელი და სოციალისტური განვითარების გზას დაადგა.

ისტორიისათვის შედარებით მცირე დროის მონაკვეთში — 33 წლის განმავლობაში სრულიად შეიცვალა საქართველოს სახე. ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხთა, პირველ რიგში თანასწორთა შორის უფროსი ძმის — რუსი ხალხის უანგარო და მეგობრული დახმარებით უმაგალითოდ განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, საქართველო მოწინავე ინდუსტრიისა და მძლავრი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა გახდა. შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: რუსთავის უკაცრიელ ველზე გაჩნდა ინდუსტრიის მძლავრი გიგანტი — მეტალურგიული ქარხანა, აშენდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებს უმნიშვნელოვანეს პროდუქციას აწვდის. ქუთაისში აიგო მძლავრი საავტომობილო გიგანტი, რომლის კონვეიერიდან განუწყვეტლივ ჩამოდიან ქართული მარკის ავტომობილები და ავტოთვითსაცლელები.

ვითარდება და ფართოვდება საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მარგანეცის მრეწველობა, რომელიც წინათ უცხოელ კონცესიონერთა ხელში მუდამ დაქვეითებული იყო, მაღაროები ახალი მძლავრი ტექნიკით აღიჭურვა, მარგანეცის მოპოვების ძველი, მამაპაპური იარაღები სამუზეუმო ექსპონატებად იქცა. ჭიათურელები ახლა მშობლიურ მრეწველობას თანდათან დიდი რაოდენობით აწვდიან ძვირფას პროდუქციას. წლითიწლობით იზრდება და ვითარდება ქვანახშირის მრეწველობა. ახალი იარაღ-მანქანებით აღჭურვილია შახტები, საქართველოს მეშახტეები ადიდებენ ქვანახშირის მოპოვებას. შარშან ქვანახშირის ამოღებამ თითქმის ერთიოთხად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს.

აშენდა და შენდება მძიმე მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის მძლავრი საწარმოები, შეიქმნა მანქანათმშენებელი და ენერგეტიკული მრეწველობა.

ჩვენი რესპუბლიკის მძლავრ წინსვლას მოწმობს ათობით დიდი და პატარა ელექტროსადგური, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა. საქართველოს მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ილიჩის ნათურები, ელექტროფიცირებულია ქალაქები და საკოლმეურნეო სოფლების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

უდიდესია საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი. ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით აღჭურვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს საშუალებას აძლევს თანდათან გაზარდონ სათესი ფართობები, გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა. ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ჩაის ფართობებმა გასული წლის დამლევისათვის 60 ათას ჰექტარს გადააჭარბა. საქართველოს მეჩაიეებმა შარშან ქვეყანას მისცეს 100 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. დიდდება ციტრუსოვანთა პლანტაციები, მათი ფართობები უკვე 25.600 ჰექტარს აჭარბებს. სოფლის მეურნეობის აღმავლობას ემსახურება 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და მეცხოველეობის სამანქანო სადგური.

ნამდვილ აყვავებასა და გაფურჩქვნას მიაღწია ქართველი ხალხის სოციალისტურმა კულტურამ. ამას ცხადყოფს საბჭოთა სოციალისტური ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გამოიზარდნენ და დავაჟკაცდნენ. ჩვენი რესპუბლიკის უდიდეს კულტურულ წინსვლას მკაფიოდ ადასტურებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არსებობა, მეცნიერული აზრის გაქანებას მოწმობს 130-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მუშაობენ, 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც სახალხო მეურნეობას, კულტურული მშენებლობის ფრონტს ყოველწლიურად უმზადებენ მაღალკვალიფიციურ კადრებს.

საქართველოს მშრომელები ამაყობენ სახალხო განათლების უმაგალითო განვითარებით. საქართველოში არის 4.208 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა, რომლებშიც 650 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს. ყოველწლიურად ფართოვდება საგამომცემლო საქმე, იზრდება გამოსული წიგნების რაოდენობა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკები მოძმე საბჭოთა ხალხების ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან ერთად მშრომელების, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების სამსახურში დგანან და ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის საგანძურში.

დღითიდღე მაღლდება რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის დონე. განუწყვეტლივ დიდდება მოსახლეობისათვის კვების პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის მიყიდვა. შეიცვალა საქართველოს ქალაქებისა და სოფლების სახე. კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდნენ ისინი. გაჩნდნენ ახალი კეთილმოწყობილი ქალაქები და დასახლებული პუნქტები.

საქართველოს მშრომელები, ქართველი ხალხი თავიანთ მიღწევებს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაგალითო განვითარებას, კულტურის აყვავებასა და გაფურჩქვნას კანონიერად უმადლიან დიად კომუნისტურ პარტიას, ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის მოძმე ერების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის უანგარო და ძმურ დახმარებას.

ქართველი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს ეგებება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული, ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, ისეთ ვითარებაში, როცა იგი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, გაცხოველებით ემზადება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამ დიდი პოლიტიკური კამპანიის მსვლელობაში კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, რადგან ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების განვითარებას და აყვავებას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ახლახან დამთავრებულმა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობამ, რომელიც ჩატარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო საქართველოს კომუნისტების შემდგომი შემჭიდროების ნიშნით, კვლავ და კვლავ ცხადყო საქართველოს მშრომელების მტკიცე გადაწყვეტილება — მთელი ძალები მოახმარონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებათა შესრულებას, ამრავლონ წარმატებანი სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე.

ქართველი ხალხი, ფხიზლად იცავს რა საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართ, მოძმე რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, კომუნისტური პარტიის, მშობლიური საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

## უკრაინელ მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში

ჭიათურა. (ტელეგრაფით საკ. კორ.). აქ ჩამოვიდა მოძმე უკრაინის მაღაროელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიკოპოლის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს უფროსი ა. ბეზგუდკო. დელეგაციაში შედიან ვოროშილოვის სახელობის მაღაროს გამგის მოადგილე, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ბეზკოროვაინი, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ს. ზარუბინი, მნგრეველები დ. ბონდარენკო და დ. ევტუშენკო და მაქსიმოვის სახელობის მაღაროს შახტის გამგე ნ. ოკზაკი.

ჭიათურელმა მაღაროელებმა სტუმრებს ძმური, გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. უკრაინელ მაღაროელთა წარმომადგენლები გაეცნობიან ჭიათურელი სტახანოველების გამოცდილებას, გააფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას 1954 წლისათვის.

# საბჭოთა საქართველოს დღე

## 237.000 ქილა ზეგეგმითი კონსერვი

ქუთაისი. (საკ. კორ.). მიქოიანის სახელობის ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივს, რომელმაც გასული წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მეორე საკავშირო ადგილი მოიპოვა, მიენიჭა სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს მეორე ფულადი პრემია. მასვე მიეკუთვნა საქართველოს კონსერვტრესტის გარდამავალი წითელი დროშა.

მეკონსერვეებმა 16 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულეს 2 თვის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 237 ათასი ქილა კონსერვი.

## მეშახტეები ახალ ბინებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ ცენტრალურ უბანში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. ფართო და ნათელ ბინებში შესახლდა მრავალი მუშისა და ინჟინერ-ტექნიკოსის ოჯახი. მალე კიდევ დამთავრდება ასეთივე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა.

რაც დრო გადის, მით უფრო იცვლის სახეს მეშახტეთა ქალაქი ტყიბული. მარტო უკანასკნელ ოთხ წელში აქ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობაზე დაიხარჯა 74,8 მილიონ მანეთზე მეტი. ამავე პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა 31.518 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

## თესვა გაჩაღდა

მცხეთა. (საკ. კორ.). სოფელ მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ი. ჩოლოშვილი) შეუდგა ქერის თესვას. ორ დღეში სატრაქტორო ბრიგადამ 20 ჰექტარზე მეტი დათესა.

ქერის შერჩევით თესვა სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო მტს-ის იმ სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ვ. გომურიშვილი ხელმძღვანელობს. აქ დათესილია 12 ჰექტარი.

სიღნაღი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო მინდვრებზე კვლავ აგუგუნდნენ ტრაქტორები. დაითესა პირველი ჰექტარები.

შვრიის თესვა პირველებმა დაიწყეს სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის და საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობებმა. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე წნორის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ი. გელაშვილი ხელმძღვანელობს, სამი დღის განმავლობაში შვრია დათესა 60 ჰექტარზე, ქერი ითესება აგრეთვე სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

წელს საგაზაფხულოდ 80 ჰექტარზე უნდა დათესოს სასილოსე სიმინდი დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ ნიადაგი დროულად მოხნეს და დაფარცხეს. ნაკვეთებზე გამალებულად მუშაობს შ. ილაშვილის ტრაქტორი. უკვე 25 ჰექტარზე მეტი დაითესა.

წითელწყარო. (საკ. კორ.). სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის საკვებმოპოვების ბრიგადებმა, რომლებსაც დ. პავლიაშვილი და ი. ლეკაშვილი ხელმძღვანელობენ, ფერმისპირა ნაკვეთებზე „ტარიბანაში“ დაიწყეს სუდანის ბალახის თესვა. პირველ დღეს 15 ჰექტარი დათესეს. აღნიშნული ბრიგადები წელს საგაზაფხულოდ ფერმისპირა ნაკვეთებზე 400 ჰექტარ ფართობზე მეტ საკვებ ბალახებს და ძირხვენებს დათესავენ.

## ახალი ქარხანა

ბაგრა. (საკ. კორ.). სოფელ ბიჭვინთაში ამ დღეებში გაიხსნა კონსერვის ქარხანა, რომელმაც უკვე დაიწყო მაღალხარისხოვანი თევზის კონსერვის გამოშვება.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებულია გამოშვებულ იქნას 300 ათასი ქილა კონსერვი. ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შეასრულოს გეგმა და კვარტალის ბოლომდე სახელმწიფოს მისცეს რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. მეკონსერვეებს ამის მიღწევის ყველა პირობა აქვთ. ქარხანა დაკომპლექტებულია გამოცდილი სპეციალისტებით. ამჟამად მუშა-მოსამსახურეთა შორის ფართოდ არის გაშლილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები.

## აგრეგატის უფროსი

— ნებას არ მოგცემ, რომ დღედაღამ აგრეგატზე იყო. რამდენჯერ უნდა გითხრა, ჩვენ მარტო დღევანდელი დღით ხომ არ ვცხოვრობთ? მითხარი, ხვალ, ხვალ რას იზამ, როცა აგრეგატი ამუშავდება?

ასე უსაყვედურებდა საამქროს უფროსი როზენფელდი პავლე წერეთელს, ახალგაზრდა სპეციალისტს, რომელსაც პასუხსაგები საქმე—აგრეგატის უფროსობა მიანდეს.

— ნაუმ ბენედიქტოვიჩ, გული არ მითმენს, შინ ვერ ვისვენებ, — ლუღლუღებდა პავლე, თავს იმართლებდა, დარცხვენილს თავი დაეხარა, შუბლზე ჩამოშლილ წაბლისფერ თმას მისთვის ცალი თვალი დაეფარა.

ხშირად დღე კი არა, ღამეც ისე გაირბენდა, რომ შრომაში გართულები ვერ ამჩნევდნენ. ვილას ახსოვდა წვერის გაპარსვა, თავის მოვლა, „მაგას მერეც მოვესწრებითო“.

რამდენსაც არ ცდილობდნენ მშვიდად ემუშავნათ, მაინც იგრძნობოდა საერთო დაძაბულობა, ნერვიულობა.

კაცმა რომ თქვას, განა მართლაც არ იყო ასაღელვებელი! რუსთავის მეტალურგები ახალი დიდი გამოცდის წინ იდგნენ — საბჭოთა კავშირში პირველი და ევროპაში ყველაზე უდიდესი მილსაგლინავი აგრეგატის „400“-ის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის ემზადებოდნენ.

დადგა ის საზეიმო მომენტიც, როცა ჩამტვირთავი მანქანის მარწუხებმა გავარვარებულ რგოლისებრ ღუმელში მძიმედ დაუშვა პირველი ნამზადი. პირველს მეორე მოჰყვა, იმას მესამე და... მუქ ფოლადს ფერი ეცვალა ღუმელში, ოქროსფრად გაყვითლდა. ახლა გადმომტვირთავი მანქანის მარწუხებში მოამწყვდია ოპერატორმა ქალმა მილნამზადი და გამჭვალავი დგარისაკენ გაუშვა. თითქოს გაივაკაო როლგანგების შარაგზაზე, ისე მირბოდა ხტუნვა-ხტუნვით მილნამზადი, ბზრიალას ბოლოსავით თავმახვილა ღერომ უმალ გახვრიტა გახურებული ლითონი. კიდევ ერთი ეტაპი — და პროდუქცია თავის საბოლოო ფორმას იღებს...

ასე მიიღეს პირველი მთლიანნაგლინი უნაწიბურო დიდდიამეტრიანი მილი რუსთავში. ასე ამოქმედდა მძლავრი აგრეგატი, რომელიც ურალელმა და კრამატორსკელმა ოსტატებმა შექმნეს.

...აგრეგატ „400“-ის უფროსის პატარა კაბინეტში, რომელიც ვეებერთელა მოწყობილობათა შორის კოლოფივით ჩანს, ტელეფონის ზარმა დარეკა.

ცნობებს ითხოვდნენ საამქროს საგეგმო-გამანაწილებელ ბიუროში.

პავლე გამოვიდა. ავტომატ-დგარისაკენ გაემართა.

რამდენიმე დღეა ავტომატ-დგარზე ფერხდებოდა მუშაობა. წერეთელმა რამდენჯერ უთხრა მექანიკოსებს, ოპერატიულ თათბირზეც ბევრჯერ აღნიშნა ეს, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. აი ახლაც ტყუილად კი არ წამოვიდა აქეთ. უყურე, დგარზე კიდევ რაღაც მომხდარა. მან ჯერ კიდევ შორიდან შენიშნა, რომ მასავით ახალგაზრდა ცვლის უფროსი სოლომონ ქუთელია და მექანიკოსი რაღაცაზე დაობდნენ.

— ალბათ ისევ იმათი ბრალია, — ჩაილაპარაკა აგრეგატის უფროსმა. შუბლი შეიჭმუხნა. ვიდრე იგი მიუახლოვდებოდა, მექანიკოსი უკვე გასცილდა ქუთელიას.

— სად წავიდა? — იკითხა პავლემ.

— სამანქანო დარბაზში. სანამ შენ არ დაგინახა, ფეხი არ მოიცვალა, ახლა იქ ერთხანს დაფაცურდებიან, როგორც იქნება რაღაცას მოახერხებენ, მერე კი ისევ ისე... — და ხელი ჩაიქნია ქუთელიამ.

— რას იზამ, ზოგჯერ გამოუცდელობით მოსდით. ეგ ბიჭი ახალი მოსულია. ჩვენი ამბავი დაგავიწყდა, ცოტა ხნის წინათ ჩვენც ხომ ასე ვიყავით!

გასული წლის შემოდგომაზე საცდელად აამუშავეს აგრეგატი „400“. 25 დეკემბრიდან კი იგი რეგულარულად მუშაობს. ამ დანადგარის ამოქმედებით საგრძნობლად გაიზარდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში არა მარტო მილების გლინვა, არამედ მილების ასორტიმენტიც. მილმგლინავები ახლა ფოლადის ისეთი თხელგარსიანი დიდი მთლიანნაგლინი უნაწიბურო მილების გამოშვების ათვისებაზე მუშაობენ, რომლის მსგავსი ჯერ არ არის მსოფლიო პრაქტიკაში. ასეთი პროდუქციის დამზადება რთულ ტექნოლოგიასთან არის დაკავშირებული, მაგრამ იგი უთუოდ წარმატებით იქნება დაძლეული. ამის საწინდარია ის, რომ მილმგლინავებმა იანვრის დავალება 122 პროცენტით გაანაღდეს და 272 ტონა ლითონის ეკონომია გასწიეს, საგრძნობლად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი. იანვარში მილმგლინავები ტონა მილებზე 113 კილოგრამით ნაკლებ ფოლადს ხარჯავდნენ, ვიდრე შარშან. თებერვლის 22 დღის გეგმა 107 პროცენტით არის შესრულებული.

განსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვს აგრეგატ „400“-ის კოლექტივს, რომელსაც სათავეში უდგას პავლე წერეთელი. ცვლებს შორის იანვარში სხვებს ს. ქუთელიას ცვლა უსწრებდა, თებერვალში კი — ინჟინერ ე. სვეტლიცკისა. მან 21 დღის ნორმა 158,7 პროცენტით გაანაღდა.

* * *

...ოცდაცამეტი წლის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა ცხოვრება საქართველოში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მარტო ახალი დარგები როდი შეიქმნენ, მარტო ახალი დაბები და ქალაქები როდი გაჩნდნენ — რუსთავი და ტყვარჩელი, კასპი და ვალე, არამედ კომუნისტური პარტიის მზრუნველობით გამოიჭედნენ, აღიზარდნენ ახალი ადამიანები, კომუნისტური საზოგადოების დაუღალავი მშენებლები.

მათი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია პავლე წერეთელი.

ს. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

## ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან

რესპუბლიკის მშრომელთა ერთსულოვნობისა და მჭიდროდ დარაზმულობის ვითარებაში მიმდინარეობს ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან. ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 632 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესთან თამარ რაჟდენის ასულ მოდებაძესთან. კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა ამხ. მოდებაძე დაახასიათეს როგორც მოწინავე საბჭოთა პედაგოგი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

აქვე გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 137 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველთან შალვა სპირიდონის-ძე შუყლაშვილთან. თავისი შრომითი საქმიანობა ამხ. შუყლაშვილმა დაიწყო ჭიათურის მაღაროებში. მან განვლო სახელოვანი გზა მუშიდან ტრესტის მმართველამდე.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კლუბში თავის ამომრჩევლებს შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის ფრუნზეს № 414 საარჩევნო ოლქში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი თამაზ ბესარიონის-ძე ჯანელიძე.

სოფელ ჩხორიას კლუბში გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზუგდიდის № 129 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის უფროს მეცნიერ თანამშრომელთან ნინო კალისტრატეს ასულ დგებუაძესთან. ნდობით აღჭურვილმა პირებმა იგი დაახასიათეს როგორც მოწინავე საბჭოთა მეცნიერი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ოჩამჩირის № 408 საქალაქო საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ტამიშის დაწყებითი სკოლის გამგეს მარიამ ვლადიმერის ასულ გადლიას. ახალგაზრდა პედაგოგი მთელ თავის ძალღონესა და ცოდნას ახმარს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 406 სასოფლო საარჩევნო ოლქში ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სოხუმის მეორე საქალაქო საავადმყოფოს ექიმს ზინაიდა ილარიონის ასულ ფანცულაიას. კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა ზ. ი. ფანცულაია დაახასიათეს როგორც გულისხმიერი და მზრუნველი მუშაკი. (საქინფორმი).



რუსთავი. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს აგრეგატ „400“-ის უფროსი პ. წერეთელი (მარცხნივ), ცვლის უფროსი ს. ქუთელია და ოპერატორი ვ. დუდინა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# საბჭოთა საქართველოს 33 წელი

მ. ჩუბინიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

დღეს სრულდება საბჭოთა საქართველოს 33 წელი, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა მოსყიდული მსახურების — საძულველი მენშევიკების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა წყობილებამ ქართველ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს, შეუქმნეს უსაზღვრო შესაძლებლობანი შემოქმედებითი ძალების განვითარებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის მშენებლობისათვის. კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა საქართველოს მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს სახე ძირეულად გარდაიქმნა. საქართველო მოწინავე ინდუსტრიის, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკა გახდა.

მძლავრ და ერთიან ძმურ ოჯახში, ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხები მტკიცე რწმენით მიდიან კომუნისტური მშენებლობის სახელოვანი გზით. პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებებით შეიარაღებული ჩვენი ქვეყნის მშრომელები იბრძვიან სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის გარანტიაა. იგი უზრუნველყოფს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ურყევ ძლიერებას. „სსრ კავშირის ხალხთა მთელი ისტორიული გამოცდილება, — აღნიშნულია თეზისებში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, — თვალნათლივ მოწმობს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათს მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, რომ უძლეველია ძმური კავშირისა და მჭიდრო თანამშრომლობის ძალა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა...“

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ გადაუტანია უმძიმესი განსაცდელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები უწარმოებია უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლებსაც მოჰქონდათ მონობის ბორკილი და ფიზიკური განადგურების საფრთხე.

საუკუნენახევარზე მეტი ხნის წინათ (1801 წელს) მოხდა რუსეთთან საქართველოს შეერთება. ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს და ამით შეინარჩუნა თავი როგორც ერმა, უზრუნველყო თავისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა. ქართველი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება ამ სამარადისო მეგობრობას. საბჭოთა წყობილების გამარჯვების შემდეგ იგი უმაგალითოდ განმტკიცდა და აყვავდა. იმპერიალიზმის ვერავითარი აგენტები, ვერავითარი ბურჟუაზიული გადაგვარებულები ვერ შეძლებენ დაარღვიონ ეს მეგობრობა, დათესონ უნდობლობა უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხისადმი, შეარყიონ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის ერთიანობა და დარაზმულობა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ყოფილი მეფის რუსეთის ჩაგრული ხალხები, შექმნა ყველა პირობა სოციალისტური ერების ჩამოყალიბებისათვის, დარაზმა ისინი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

* * *

კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფს ვხედავთ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით. ხუთწლედების მანძილზე საქართველო გახდა ლითონის, ქვანახშირის, მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკა.

საბჭოთა საქართველოს მრეწველობის განვითარების წარმატებებს მოწმობენ, მაგალითად, ასეთი ფაქტები: 1953 წელს ქვანახშირის ამოღება მრავალჯერ გადიდდა 1913 წელთან შედარებით. უკანასკნელი ცამეტი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გადიდდა მარგანეცის ამოღება, საბჭოთა საქართველოში აშენდა ათობით დიდი და პატარა ელექტროსადგური, მარტო რიონჰესის სიმძლავრე ექვსჯერ აღემატება საქართველოში 1913 წელს არსებული ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრეს.

ქართველი ხალხის სიამაყეა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შესანიშნავ ცხოველმყოფელ ძალას მოწმობს რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის — რუსთავის სწრაფი ზრდა. მასში ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური ძლიერების ზრდისათვის. ათვალიერებ რუსთავის ფართო ქუჩებში ლამაზ, მრავალსართულიან სახლებს, მდიდარ მაღაზიებს, სტადიონს, ტყეპარკს, მშენებელთა კლუბის ლამაზ კოლონადებს, ნათელ ვრცელ სკოლებს, და ყველგან ხედავ ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთობლივი შრომის ნაყოფს. რუსთავის მშენებლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა გვეხმარებოდა. აქ ქართველების მხარდამხარ გულმოდგინედ მუშაობდნენ რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები. ასობით ქართველმა მეტალურგმა, სანამ მარტენის ღუმელებთან და საგლინავ ჩარხებთან დადგებოდა, ფოლადდნობისა და გლინვის შესანიშნავი სკოლა გაიარა რუსეთის სფსრ და უკრაინის მეტალურგიულ საწარმოებში.

რუსთავის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო უნიკალური მილსაგლინავი დანადგარის „400“-ის ამუშავება. ამ დანადგარის დამზადება მოწმობს ჩვენი საბჭოთა მანქანათმშენებლობის დიდ ტექნიკურ სიმწიფეს. დანადგარი გამოუშვა ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანამ. მის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კრამატორსკის მთელი რიგი საწარმოები.

რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრში — ქუთაისში აშენდა საავტომობილო ქარხანა. მისი კონვეიერიდან უკვე ჩამოვიდა ასობით ავტოთვითსაცლელი. ქართველ ავტომობილმშენებელთა კვალიფიციური კადრები რთულ პროფესიებს დაეუფლნენ მოსკოვსა და გორკში რუსი ოსტატების ხელმძღვანელობით.

საქართველოს დაზგათმშენებელი და მანქანათმშენებელი მრეწველობა უშვებს ლითონსაჭრელ ჩარხებსა და საქსოვ დაზგებს, მოწყობილობას სამთამადნო მრეწველობისათვის, რადიოაპარატურას, ზუსტ ხელსაწყოებს, მიწისმწოვ მანქანებს, მოწყობილობას ჩაისა და მეღვინეობის მრეწველობისათვის.

საბჭოთა საქართველოში ფართოდ განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობის ათობით საწარმო სულ უფრო დიდი რაოდენობით უშვებს სხვადასხვა პროდუქციას. მარტო უკანასკნელი ცამეტი წლის განმავლობაში შალის ქსოვილების წარმოება რესპუბლიკაში თითქმის 2-ჯერ გადიდდა, აბრეშუმის ქსოვილებისა — 2,5-ჯერ, ბამბეულისა — თითქმის 10-ჯერ.

პირველხარისხოვანი საბჭოთა ტექნიკით არის აღჭურვილი თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, მაუდ-კამვოლის ფაბრიკა მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. მან 1953 წლის გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შესრულა ჯერ კიდევ 15 ნოემბერს. გასულ წელს 1940 წელთან შედარებით ფაბრიკამ გამოუშვა თითქმის ერთიორად მეტი შალის ქსოვილები. წელს თბილისელმა მემაუდეებმა 450 ათასი მეტრით მეტი შალის ქსოვილი უნდა გამოუშვან, ვიდრე 1953 წელს. წმინდა მერინოსის ქსოვილების გამოშვება თითქმის ერთიორად გადიდდება.

ქალაქ გორის ბამბეულის კომბინატმა შარშან სამშობლოს მისცა 20 მილიონ მეტრზე მეტი ქსოვილები. მშენებლობის მთლიანად დამთავრების შემდეგ კომბინატი ყოველწლიურად გამოუშვებს 51 მილიონ მეტრზე მეტ ქსოვილებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველომ თითქმის 200-ჯერ გაადიდა ჩაის გამოშვება. მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია საქართველოს ღვინისა და არყის ნაწარმი, კონსერვები, მურაბა.

ახალი მძლავრი აღმავლობაა საქართველოს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკაში მუშაობს 104 მტს-ი და მეცხოველეობის სამანქანო სადგური. ისინი აღჭურვილი არიან მდიდარი ტექნიკით.

გადიდდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი, გაიზარდა საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობა. 1953 წლის დამლევს ჩაის ფართობმა გადააჭარბა 60 ათას ჰექტარს ნაცვლად 4 ათასი ჰექტარისა, რაც პირველი ხუთწლედის დასაწყისში იყო. შარშან საქართველოს მეჩაიეებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 100 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ციტრუსოვანთა ფართობმა უკვე 25.600-ზე მეტ ჰექტარს მიაღწია. მაგრამ ამით სრულიადაც არ ამოიწურება საკოლმეურნეო წყობილების შესაძლებლობანი, მით უმეტეს, რომ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში ჩვენი სოფლის მეურნეობა დაუშვებლად ჩამორჩება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი უბანია საზოგადოებრივი მეცხოველეობა. იმის გამო, რომ მთელი რიგი წლების განმავლობაში მას საკმაო ყურადღება არ ექცეოდა, ჩვენში პირუტყვის სულადობა ზრდის ნაცვლად მცირდებოდა. ჯერ კიდევ დაბალია მისი პროდუქტიულობა. ცოტაა გაკეთებული კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის, არადამაკმაყოფილებლად იყენებენ სოფლის მეურნეობაში მანქანებს, განსაკუთრებით ტექნიკური კულტურების მოყვანისას.

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ მშრომელები ახლა ახორციელებენ ღონისძიებებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაშინ კიდევ უფრო განმტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, კიდევ უფრო გადიდდება მათი შემოსავალი და შრომადღის ღირებულება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანია მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები: 1953 წელს 1952 წელთან შედარებით მოსახლეობას მიეყიდა კვების ძირითადი პროდუქტები: ხორცი და ხორცპროდუქტები — 33,6 პროცენტით მეტი, თევზეული — 24,8 პროცენტით მეტი, ერბო-კარაქი — 36,4 პროცენტით მეტი, შაქარი თითქმის 10 პროცენტით მეტი და სხვ. შარშან მოსახლეობას მიეყიდა ბამბეული 33 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952 წელს, აბრეშუმის ქსოვილები — 80 პროცენტით მეტი და სხვ.

სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება საქართველოს ქალაქები და სოფლები. შენდება საწარმოთა ახალი კორპუსები, საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, გაჰყავთ ახალი გზები, შენდება ელექტროსადგურები.

საქართველოს სს რესპუბლიკას დამსახურებულად უწოდებენ ჯანმრთელობის პირველხარისხოვან კერას. განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობები, სამკურნალო წყაროების სიუხვე ყოველწლიურად იზიდავს აქ ათეულ ათასობით მშრომელს. შესანიშნავი კურორტები წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი, გაგრა, თებერდა, სოხუმი და სხვ. ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში. ამჟამად საქართველოში მუშაობს 130 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. მარტო შარშან კურორტებზე დაისვენა და იმკურნალა დაახლოებით 171 ათასმა კაცმა.

საქართველო ძველი და მდიდარი კულტურის ქვეყანაა. მაგრამ მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში მიაღწია მისმა კულტურამ უმაგალითო აყვავებას. ეულრესად გადიდდა მოსახლეობის ლტოლვა სწავლისადმი, განათლებისადმი. ამჟამად საქართველოში არის 4.208 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 650 ათასზე მეტი ბავშვი. წარმატებით გადაიჭრა ეროვნული კადრებით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის უზრუნველყოფის საკითხი. 27 ათასი სტუდენტი ეუფლება ცოდნას 19 უმაღლეს სასწავლებელში; 117 ტექნიკუმში სწავლობს 25 ათასამდე მოსწავლე. სპეციალურ და სახელოსნო სასწავლებლებში მშრომელთა ათასობით ბავშვი სწავლობს.

რესპუბლიკის მეცნიერული აზრის ცენტრია მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოში ფართოდ არის გაჩაღებული საგამომცემლო საქმიანობა. მარტო შარშან გამოიცა 1.720 სახელწოდების წიგნები 9.056 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. დამთავრდა ქართულ ენაზე ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა, გამოცემულია ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი. ქართველ ახალგაზრდობას შესაძლებლობა აქვს დედაენაზე წაიკითხოს რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებნი.

რესპუბლიკას აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. მარტო სოფლის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 1.600 კულტურის სახლი, კლუბი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა.

საბჭოთა კავშირის კულტურის საგანძურში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს მხატვრებს, მოქანდაკეებს, კომპოზიტორებს, მსახიობებს.

სსრ კავშირის ხალხთა სოციალისტური თანამშრომლობა ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის წყაროა. საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები, შინაური და გარეშე მტრები ცდილობენ მტრობა ჩამოაგდონ ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის. მაგრამ მათი ცდები ამაოა! მკაცრი სასჯელი მოელის ყველას, ვინც ხელყოფს საბჭოთა ხალხების ერთიანობას.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიხარულითა და ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 36-ე წლისთავს, რომლებიც ფხიზლად იცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ცხადყო, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მონოლითურად არიან დარაზმულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი მზად არიან მთელი თავიანთი ძალღონე და ენერგია მოახმარონ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი, მომავალ არჩევნებში ისინი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების მძლავრი სახალხო ბლოკის კანდიდატებს, მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ქართველი ხალხი, ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მტკიცედ დარაზმული, თავდადებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

# კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხ. მ. მ. ლელაშვილის სიტყვა

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობა მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი გაუმჯობესებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით.

მომხსენებელი და კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ წარმატებას. გვაქვს თუ არა ეს წარმატებანი? დიახ, გვაქვს, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას უქმნიან შემდგომი აყვავების პირობებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ზრუნვას იჩენენ ჩვენს ქვეყანაში კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვისათვის.

მაგრამ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელობის არასაკმაო ოპერატიულობის, აგრეთვე კავშირგაბმულობის ორგანოების როლის შეუფასებლობის გამო, ეს ორგანოები ვერ აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ სახალხო მეურნეობა და რესპუბლიკის მოსახლეობა უყენებენ. ჩვენში მკვეთრად ჩამორჩა რადიოფიკაცია, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში. ცუდი მდგომარეობაა საქალაქთაშორისო და საქალაქო სატელეფონო კავშირგაბმულობის მხრივ.

ასრულებდნენ რა პარტიის XIX ყრილობის მიერ კავშირგაბმულობის ორგანოების წინაშე დასახულ ამოცანებს, აგრეთვე იმ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე ამხანაგ მალენკოვის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მუშაკებმა, პარტიული ორგანიზაციების დახმარებისა და ხელმძღვანელობის მეოხებით მიაღწიეს თავიანთი მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით შესრულებულია 102 პროცენტით, ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით — 135 პროცენტით, კავშირგაბმულობის საშუალებათა კაპიტალური რემონტის გეგმა — 106 პროცენტით, კავშირგაბმულობის სამინისტროს ქსელში რადიოწერტების წმინდა მატების გეგმა — 155 პროცენტით, კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელის განვითარების გეგმა — 122 პროცენტით.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო დიდ დახმარებას გვიწევს საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის საქმეში.

ამჟამად ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — უახლოეს 2-3 წელიწადში გადაჭრით გავაუმჯობესოთ კავშირგაბმულობის სახეები რესპუბლიკაში, ავამაღლოთ მომსახურების კულტურა.

ადგილებზე კავშირგაბმულობის მუშაკთა კოლექტივის ღონისძიებათა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების სერიოზული დახმარების მეოხებით გაუმჯობესდა რადიოფიკაციის საქმე.

მაგრამ მთლიანად რადიოფიკაციის მდგომარეობა რესპუბლიკაში კვლავ არადამაკმაყოფილებელია. პარტიის ბევრი რაიკომი და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

ჩვენ მთლიანი რადიოფიკაციის მიღწევის ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ამისათვის საჭიროა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად გამოჰყოფდეს საკმაო სახსრებს და რომ რადიოფიკაციის საქმეს ადგილებზე შეუსუსტებელ კონტროლს უწევდნენ პარტიული ორგანიზაციები.

ამხანაგებო! პარტიული ორგანოების დახმარების მეოხებით მუშაობა გააუმჯობესა „სოიუზპეჩატის“ საქართველოს კანტორამ. პრესის დარგში ბრუნვა 1953 წელს შეადგენდა 42 მილიონ მანეთს ნაცვლად 1952 წლის 40 მილიონი მანეთისა. 1953 წელს ხელმოწერით გავრცელდა 17 პროცენტით მეტი პერიოდული გამოცემები, გაზეთები და ჟურნალები, ვიდრე 1952 წელს. მაგრამ ზოგიერთ რაიონში, პრესის გავრცელების უმნიშვნელოვანესი საქმისადმი არასაკმაო ყურადღების გამო, ბევრი ადგილობრივი გაზეთი გაუვრცელებელი რჩება.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველო და საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა მთელი კოლექტივი კვლავაც იბრძოლებენ არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება სერიოზული ყოველდღიური დახმარება პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებენ ჩვენი პარტიის ყოველ დავალებას და მიაღწევენ კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

## ამხ. ნ. ლ. ოსინის სიტყვა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა მიმდინარეობს ისეთ პირობებში, როცა ძალღონით სავსე ჩვენი საბჭოთა სამშობლო მტკიცე რწმენით მიდის წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით და პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები თავიანთი თავდადებული კეთილსინდისიერი შრომით ზედიზედ აღწევენ გამარჯვებას საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განუხრელი განმტკიცების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის საქმეში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ახალ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმაც.

საბჭოთა ხალხის წარმატებანი აღაფრთოვანებენ დიდ ჩინელ ხალხს მის ბრძოლაში ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის და სოციალიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის, აღაფრთოვანებენ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენი წარმატებანი აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ამავე დროს ჩვენი წარმატებანი იწვევენ კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული წრეების, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ბანაკის და ყველა იმათ ცოფმორეულ გაბოროტებას, ვისაც არა სურს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკაა. ჩვენ მტკიცედ და თანმიმდევრულად ვემხრობით მშვიდობას ჩვენი ხალხის და მთელი მსოფლიოს ხალხების ინტერესებისათვის. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია არავითარი აგრესორის მუქარისა და უკვე დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია დავიცვათ თავი და გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველ აგრესორს.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ აგრესიული წრეების ხრიკებს, რომლებიც მიმართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. უკანასკნელ ხანს ამ აგრესიულმა წრეებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, საბჭოთა ამიერკავკასიის ახლოს.

ყოველივე ეს გვავალებს ყველა ღონისძიებით გავაძლიეროთ სიფხიზლე და განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება. ჩვენი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ჩვენი პარტიის წესდება მოითხოვენ ყველა ღონისძიებით განვამტკიცოთ საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან. ეს ამოცანა ერთხელ კიდევ ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი.

პარტიის, მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის დაუცხრომელი მზრუნველობის მეოხებით ჩვენი არმია ახალი პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით არის აღჭურვილი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ გვაქვს ჩვენი ატომური და ჩვენი წყალბადის იარაღი.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების პირადი შემადგენლობა, ისევე როგორც საბჭოთა არმიის ყველა მეომარი, ყოველდღიურად სრულყოფს თავის საბრძოლო ოსტატობას, ბეჯითად ეუფლება ახალ საბრძოლო ტექნიკას და ომის წარმოების იმ წესებს, რომლებიც ამ ტექნიკას შეეფერება. გასული სასწავლო წლის შედეგებმა ცხადყო, რომ ჯარების საველე და საბრძოლო მომზადება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ამაღლდა ნაწილების პირადი შემადგენლობის პოლიტიკური შეგნებულობის დონე, განმტკიცდა სამხედრო დისციპლინა, მტკიცდება ნაწილების სარდლობის კავშირი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან, მებრძოლებისა და ოფიცრების კავშირი მუშებთან, კოლმეურნეებთან და საბჭოთა ინტელიგენციასთან.

მაგრამ, ამხანაგებო, თავდაცვითს მუშაობაში, როგორც არმიის ნაწილებში, ისე მოსახლეობაში, არის არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას.

პირველი და ყველაზე არსებითი ნაკლი ალბათ ის არის, რომ ჩვენში მთელ რიგ ადგილებში არ არის ჯეროვანი კონტაქტი პარტიული კომიტეტებისა და ჯარის ნაწილების პოლიტორგანოების მუშაობაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის წევრები და მათი ბიუროების წევრები კომუნისტი-სამხედროები არიან, ისინი ისევე, როგორც პარტიული კომიტეტები, ზოგჯერ საჭირო აქტივობას არ იჩენენ მასობრივი პოლიტიკური და თავდაცვითი მუშაობის მოწყობის საქმეში. იშვიათად ეწყობა მებრძოლებისა და ოფიცრების შეხვედრები საწარმოებისა და კოლმეურნეობების საუკეთესო ადამიანებთან.

ჩვენი საბჭოთა არმია თავისი შემადგენლობით და იდეებით, რომლებსაც იგი ემსახურება, განასახიერებს ხალხთა მეგობრობას. თვითეულ ჯარის ნაწილში არიან რუსები, ქართველები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ჩვენი მოვალეობაა დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ ხალხთა მეგობრობას, ყოველდღიურად ვმუშაობდეთ სამხედრო მოსამსახურეთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ისინი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის მომზადებას სამხედრო სამსახურისათვის (წვევამდე მომზადება).

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნად კურსანტების შერჩევისას ახალგაზრდობიდან, რომელმაც საშუალო სკოლები დაამთავრა, მიმღები კომისიები იძულებული ხდებიან სამხედრო განათლების მიღებისა და საბჭოთა არმიის ოფიცრებად გახდომის ბევრ მსურველს უარი უთხრან მათი ცუდი საერთო-საგანმანათლებლო მომზადების გამო, თუმცა ყველა მათგანს აქვს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი.

აქედან, ამხანაგებო, სავსებით ნათელი ხდება, რომ სკოლაში ახალგაზრდობის მომზადების საქმე კარგ მდგომარეობაში ვერ არის. ეს განსაკუთრებით უნდა მიიღოს მხედველობაში განათლების სამინისტრომ.

ჩვენში, სამწუხაროდ, ყველგან კარგად როდია დაყენებული მუშაობა თადარიგის მეთაურებთან. პარტიული კომიტეტები, საბჭოთა ორგანოები და სამხედრო კომისარიატები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ თადარიგის ოფიცრებისათვის და ყურადღებით ეკიდებოდნენ მათ, სისტემატურად აუმჯობესებდნენ მათს სამხედრო მომზადებას.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლი უნდა აღმოიფხვრას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს ამ მუშაობას. ჩვენ, კომუნისტი-სამხედროები, მოვალენი ვართ მეტ აქტიურობასა და მონდომებას ვიჩენდეთ თავდაცვითი მუშაობის საკითხების დაყენებაში, ამასთან ამ საქმეში ყოველმხრივ მხარდაჭერასა და გაგებას უნდა ვპოულობდეთ პარტიულ კომიტეტებში, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელების მხრივ.

ამხანაგებო! საბჭოთა არმიას არაერთხელ ცხადუყვია თავისი ძალა და ბრძოლის ველზე მტრის დამარცხების უნარი. ჩვენი არმიის ძალის წყაროს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების პროგრესული წყობილება, არმიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობა, ჩვენი ხალხისა და არმიის დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო.

ჩვენი მოვალეობაა შემდეგშიც დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ არმიისა და ხალხის ერთიანობას და ვრაზმავდეთ მათ ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო.

# ორი სამყაროს მიჯნაზე

თებერვლისათვის უჩვეულო მზიანი დარია. მთებს გადმოხურვია ლურჯი ცის გუმბათი. ამ ცის ორეული გაწოლილა დაბლა, შორს თვალმიუწვდენ სივრცეზე. ეს მშვიდად მოლივლივე ზღვაა. ცას აქა-იქ გაჰკვრია თეთრი ღრუბლის ფთილები. მთებსა და ფერდობებს იმ ღრუბლის ფთილებივით ალაგ-ალაგ შერჩენია თოვლი და ისინი შვლის ტანს ჰგვანან, თოვლის თეთრი ლაქებით მოხატულ-მოჩითულნი. მხოლოდ ეს გაგრძნობინებთ თებერვალს — ისე აღარც სიცივეა, აღარც ქარი. მაღლობებზე შეფენილი სოფელი წიწვოვანთა და ციტრუსოვანთა სიმწვანეშია. ზოგან ხეებს ამშვენებს შერჩენილი ოქროსფერი ნარინჯები.

ნაპირს ეხეთქება ზღვის ტალღების თეთრი წინწკლები.

სკოლის ნაცნობი ზარი. ხმიანობს ზღვისპირის თეთრი შენობა — გაკვეთილები დამთავრდა, ჟრიამული ედება არე-მიდამოს. სანაპიროს, სკოლას რომ ერთი მხრიდან აკრავს, ეფინებიან მოსწავლეები. კვლავ ცოცხლდება ფეხბურთის მოედანი.

ნაშუადღევს სკოლის ეზოში — ზღვისპირას რაზმეულის შეკრება იყო დანიშნული. საყვირის ხმაზე პიონერები „ხაზზე“ ჩამწკრივდნენ. პატაკების მიღების შემდეგ მედროშემ ორი ასისტენტის თანხლებით რაზმეულის დროშა შემოიტანა. გაისმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის დიდებული მელოდია:

საბჭოთა დროშა დაგნათის,
მზესავით მოელვარეო;
ხყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო!

ეს სიტყვები იჭრება შორს ზღვის თვალუწვდენ სივრცეზე, მას თითქოს ბანს აძლევენ ცადაწვდილი მთები.

მაგრამ ეს რა ჰოტისებური ხმა-გამყივარი შემოიჭრა წყვდიადიდან აქ, სიცოცხლისა და სინათლის სამფლობელოში? ეს რა გაუგებარი, მონოტონური სიტყვებია?

ელლაჰუ ექბერ,
ელლაჰუ ექბერ!..

უნებურად ჟრუანტელი გვივლის. მიმოვიხედეთ — საიდან მოდის ეს ხმა? — ხელგასაწვდენზე თეთრად ასვეტილი მინარეთიდან შავი აჩრდილი შევამჩნიეთ. ჩვენს გარშემო ყოფნ ეს არ გაჰკვირვებიათ. ამ სურათს ძალაუნებურად დიდი ხანია უყურებს აქედან დიდი და პატარა. მათი თვალი და ყური შეჩვევია ამ სურათს, ამ სიტყვებს. ეს მათ სიცილსაც ჰგვრის და ბოღმასაც.

— რა არის, ალი, ეს, რა სიტყვები ისმის? — ვეკითხებით ჩვენს მასპინძელს, ახოვან ვაჟკაცს, ჩვენი სკოლის დირექტორს.

ალი თანდილავა მცირე ხნით დუმს. მეჩითისაკენ მზირალი რაღაც შავ მოგონებებს გაუტაცნია — ეს აღბეჭდილია მის სახეზე.

— მათი ხოჯაა. ეზანით იწვევს მორწმუნეთ მინარეთიდან, ამბობს: „ალაჰი დიდია, ალაჰი დიდიაო“. ახლა იმათ მედრესშიც გამოვა „გაკვეთილი“, ბავშვებს მეჩითში შერეკავენ, რომ ილოცონ. მეც მილოცნია ჩემს შავბნელ პატარაობაში. ახლაც ჩამრჩენია მეხსიერებაში ლოცვების არაბული სიტყვები:

ეუზუბილლაჰი მინეშშეიტანირრეჯიმ
ბისმილლაჰი რაჰმანირრეჰიმ...

გონება გვეხშობა, თვალთ გვიბნელდება — ეს რა ბოდვაა.

— როცა პატარა ბიჭი ვიყავ, მაშინ მე, ლაზი, თანთოლად ვიწოდებოდი, — განაგრძობს ალი მცირე დუმილის შემდეგ, — არ მესმოდა, ვიზეპირებდი, ხუთასამდე ჯოხით აქვს მოლას ჩემს ნორჩ ტვინში ჩანატკენი ეს არაბული აბდაუბდა.

— რას გამოხატავს მაინც ეს?

— ალაჰის ხსენებით ვიწყებ, რომ ალაჰი დიდია, ალაჰი ერთია, ყველას გვახსოვდეს ალაჰი და მას დავემორჩილოთო...

სადღაც, ჩვენი სოფლის კლუბის ახლოს, ახმიანდა ძლიერი რადიოდინამიკი. ნაცნობი მელოდიები, მშობლიური სიმღერის ჰანგები ფარავს მინარეთიდან გადმომდგარი ხოჯას ყივილს: „ელლაჰუ ექბერ, ელლაჰუ ექბერ!..“ თითქოს წყვდიადისათვის ძლიერი პროჟექტორი მიეხათებინოთ, ისეთი იყო რადიოსა და მინარეთის შეჯიბრება.

იმათი მედრესედან უღიმღამოდ გამოდიან ბავშვები, აგერ სულ ახლოს, ჩვენს სკოლასთან. მათი ხმა გვესმის, სიტყვებს კი ვერ ვარჩევთ. ბავშვები კი არა, კრუხს მოწყვეტილი და წუმპეში ამოსვრილი ობოლი წიწილები გვგონებათ — მობუზულნი, დაძონძილნი, გაძვალტყავებულნი.

ვიღაც ერეკება მათ — მოლა უნდა იყოს. შეშინებულნი მოიხედავენ უკან და რომ ნახავენ — მოლა ისევ მისდევთ, კვლავ თავს მიიბრუნებენ და აბუზულნი მიდიან მეჩითის მიმართულებით. მეჩითი ოციოდე ნაბიჯზეა მედრესედან. ახლა იქ, მეჩითში ფეხშიშვლებმა, ჩაჩოქილებმა შუბლი მიწას უნდა ანარცხონ და ილოცონ, როცა ხოჯა არაბულად წარმოთქვამს: „ალაჰის ხსენებით ვიწყებ, რომ ალაჰი დიდია, ალაჰი ერთია!..“

სად ხდება ეს? — საბჭოთა სკოლის თეთრი შენობიდან, საკოლმეურნეო კლუბის ნათელი შენობიდან, სოფლის რადიოკვანძიდან ორასიოდე ნაბიჯზე, გაყოფილი სარფის მეორე მხარეს — თურქების მხარეს.

ზღვას ჩასჩხრიალებს მთიდან ჩამონაქროლი ანკარა ნაკადული ტიბაში — ვერცხლისფრად მომდინარე. ეს ტიბაში თითქოს ორლესილია მტერს რომ ჩაუცია ქართული სოფლისათვის და შიგ შუაგულში ჩაუტყვებია.

სარფი! — ქართული სოფელი, რომლის ნახევარს, ტიბაშის იქითა ნახევარს, თურქეთის ნახევარს შავი ღრუბელი დასწოლია. სარფი — ქართული სოფელი, რომლის ტიბაშსაქეთა ნახევარს მზე თავს დაჰნათის, შუქი მოჰფენია, სიხარული და ბედნიერება დამკვიდრებია.

ტიბაშს იქით წყვდიადია, ტიბაშს აქეთ — სინათლე.

რაღაც უკაცურობას, სიბნელეს, დამაფიქრებელ გულჩათხრილობას, მწუხარებას გაგრძნობინებთ ასე ერთი ხელის გაწვდენაზე მდებარე თურქეთის სარფი. თითქოს ეს-ეს არის საყვარელი მიცვალებულის ნეშტი გაუტანიათ ოჯახიდან — სოფელი დაცლილა თითქოს, და მეფობს რაღაც გულის მომკვლელი დუმილი ამ გამომკვდარებულ ოჯახში. აქა-იქ უღიმღამოდ, უსიცოცხლოდ მიმავალს თუ შეამჩნევთ ვინმეს იქითა მხარეს. საიდან მოდის, სით მიდის, რა აწუხებს, რაზე დადუმებულა? ენა წაურთმევიათ, გული ამოუღიათ ტყვეობაში მყოფისათვის. აქეთ მას ძმა ეგულება, ბედნიერი მშრომელი ძმა, მაგრამ მისკენ გამოხედვის ნებასაც არავინ აძლევს!

აი თუნდაც ის ბავშვები, მეჩითიდან გამოსულნი, რა ინტერესით და სიყვარულით იცქირებიან საზღვრისაკენ, რომ კარგად დაინახონ თავიანთ მოძმეთა სამყოფელი, სადაც საბჭოთა ბავშვების მხიარული ჟივილ-ხივილი ისმის, სადაც სიცოცხლე და ბედნიერებაა. მობუზულნი, შეშინებულნი, ისინი იცქირებიან ჩვენი სკოლისაკენ, ჩვენი მხარისაკენ, მაგრამ ასკერის მრისხანე გამოხედვა მათ აფრთხობს და უკან აბრუნებს გულმოკლულთ.

ნეტავ რათ დგას გამონაცვალი ამერიკული სამხედრო კოსტიუმით და თურქული ქალამნით ეს ასკერი ორ ძმას შორის, რას იცავს, რას სდარაჯობს? — სიბნელეს, რომ იგი სინათლემ არ სძლიოს. ეს ასკერი დგას ამერიკელი ბიზნესმენის ჩამოშვებულ შავ ფარდად, რომ სევდანაღველდაგუბებულ ქოხებში ჩვენგან გაჭრილმა შუქმა არ შეახათოს.

საბჭოთა სარფელები მწარე სიცილით იგონებენ იქითა მხარის თურქ ხელისუფალთა და ასკერთა საჩივარს, რომ ღამე თქვენი მანქანების შუქფარები გზიდან აქეთა მხარეს ანათებენო. ჩიოდნენ ჩვენი მხრიდან გაჭრილ სინათლეზე, მოითხოვდნენ ეს შუქი იმათი სიბნელის გასაფანტავად არ წასულიყო. მათ ჩივილზე პასუხი საბჭოთა სარფის ელექტროშუქით გაჩირაღდნება იყო, სოფლის სკოლა და კლუბი იყო, რადიოკვანძი და ტიტველი მთა-გორების ციტრუსებით მოხავერდება იყო, სიცოცხლისა და ბედნიერების დამკვიდრება იყო.

რათ შესჯავრებიათ ასე სინათლე ამერიკელთა ყურმოჭრილ მონებს, თურქ ხელისუფალთ? თითქოს სცხვენიათ ყოველივე იმისა, რასაც იქ გამეფებული სიბნელე ფარავს. ისინი მზესაც დააბნელებდნენ, ამის ძალა რომ შესწევდეთ.

ორი მხარე, ორი სამყაროს საზღვარი!

რაღაც მძიმე განცდა გეუფლება ამ საზღვართან მდგომ ადამიანს. კაპიტალის მძიმე უღელქვეშ გმინავენ მშრომელები იქითა მხარეს. ერთი პატარა ლექსი ამოუკვნესია სარფის იქითა მხარის ქართველს: „ჰაი გიდი, გურჯისტანი!“.. რა სინანული, რა სევდა და ბოღმა გამოსჭვივის ძალად გათურქებული ქართველის ამ ამოძახილში — რომ იგი მტარვალმა თურქებმა დედას მოსწყვიტეს, ძმებს დააცილეს, გვარი და სარწმუნოება წაართვეს, დედა ენაზე ლაპარაკი აუკრძალეს და ალაჰზე ლოცვით უხშობენ გონებას. მაგრამ ამ ამოძახილში — „ჰაი გიდი, გურჯისტანი!“ — მარტო სინანული და სასოწარკვეთა როდია გამოხატული; მასში ხვალინდელი დღის რწმენაც არის, — რომ თავისუფლების სინათლე ოდესმე მათთანაც შეაღწევს, გაფანტავს წყვდიადს, რომელსაც დღეს ასკერის ხიშტი იცავს. ეს ის ასკერია, რომელსაც ამერიკელ იმპერიალისტთა საამებლად თურქ ხელისუფალთა მიერ გაგზავნილი ძმა მოუკლეს შორეულ კორეაში. მან არ იცოდა, რისთვის მიდიოდა, ვისთვის იბრძოდა, რისთვის კვდებოდა. ასევე არ იცის ამ ასკერმა, რისთვის დგას აქ, რას გუშაგობს.

მაგრამ საბჭოთა სარფელმა მეომარმა, ახლა მოწინავე კოლმეურნემ ხაკი კახიძემ კარგად იცოდა, რისთვის იბრძოდა დიდ სამამულო ომში. იგი სალსკიდან დაწყებული პრაღამდე კვალდაკვალ სდევდა მოსეულ მტერს, საბჭოთა დივიზიის დროშა მიჰქონდა რუს, უკრაინელ, სომეხ თანამოიარაღეებთან ერთად. ოთხი ჭრილობა მიუღია „დიდების“ ორდენის კავალერს. კახიძემ იცოდა, რომ თავისუფლებას იცავდა, სარფს იცავდა.

ჩვენ დაგვახსომდა ერთი პატარა სურათი.

ზღვისპირი. თეთრი კენჭებით მოფენილი, კედრებით და კვიპაროსებით დამშვენებული მოედანი. აქ ფრენბურთის სათამაშოდ გამოსულან ასმათ თანდილავა, ნინო ხარატი — ცქრიალა გოგონები, კომკავშირელები. მათთან ერთად ქრთობა რუსი ახალგაზრდა თამარ ივანოვა, მკერდზე კომკავშირელის ნიშნით. იქვე მისი პატარა ბიჭუნა დაბაჩუნობს. თამარი ამ ქართველ გოგონებთან ერთად არის კომკავშირულ ორგანიზაციაში. დობილები არიან თამარი, ასმათი, ნინო. ერთია მათი მიზანი — აშენონ კომუნიზმი, დაიცვან იგი. კეთილშობილური მოვალეობა აკისრიათ საბჭოთა ადამიანებს, მათ შეიარაღებულ ძალებს — დაიცვან დიადი სოციალისტური სამშობლო, დაიცვან ეს სილაღე, ეს ბედნიერება და თავისუფლება, ხალხთა ერთიანობა.

ისევე, როგორც ყველა საბჭოთა სოფლის, სარფის ცხოვრებაც ლაღი, თავისუფალი, ბედნიერია. ამ ცხოვრების წყარო საბჭოთა ხელისუფლებაა, საკოლმეურნეო წყობილებაა. თორემ არის ტიბაშის იქით სარფის მეორე მხარე — სიბნელესა და სიდუხჭირეში ჩაფლული. ვინ შეიყვანს იქ ელექტროშუქს — თურქი ვაჭარი, რომელიც მოტყუებული გლეხისაგან ტომრებით მიეზიდება ხორბალსა და ტრაპიზონში, წვითა და დაგვით მოწეულ სიმინდს, რომ იქ მოგებით გაყიდოს? ვინ გაიყვანს რადიოხაზს — გლეხი, რომელსაც ცოლშვილი ვერ შეუმოსავს? ვინ გაჭრის სასოფლო გზას — ოკეანესგაღმელი ბატონი, რომელსაც თურქეთი მხოლოდ საწველ ფურად გაუხდია?

საბჭოთა წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით, თვალნათლივ გამოხატავს ამერიკელთა ჩექმებქვეშ გათელილი თურქული სარფის პირისპირ მდგომი, მისი განაყოფი — ღღევანდელი საბჭოთა სარფი. ეს იგრძნობა დღისით, ეს იგრძნობა ღამითაც, როცა ილიჩის ნათურებით აკაშკაშდება სოფელი, როცა გვიან ღამემდე რადიოდინამიკი აფრქვევს მშობლიური, მახლობელი საბჭოთა მუსიკის ჰანგებს, ნაცნობი სიმღერების მელოდიებს. საბჭოთა სარფი კონტრასტია ტიბაშსგაღმა დადუმებული თურქული სარფისა.

ახალი, კოპწია ლაზური ოდასახლებით, მშვენიერი სოფლის ცენტრით, დიდებული ბუნების პეიზაჟით იგი ისე გამოირჩევა იმ მხარის სარფისაგან, როგორც დღე ღამისაგან.

რა გულისმომკვლელია ტიბაშსგაღმა სარფი ღამით. არც ერთი ქოხის სარკმლიდან სანთლის მბჟუტავი შუქიც არ მოჩანს. ადამიანის ჭაჭანება არ არის. მხოლოდ ძაღლების გაბმული ყმუილი ისმის, როგორც იავარქმნილ ნასახლარზე. ტიბაშგაღმა სარფი მთელი ბნელი თურქეთის, მთელი კაპიტალისტური სამყაროს სარკეა. ჩვენი სარფიდან რომ გავცქერით იქითა მხარეს, ჩვენს თვალწინ ცოცხლდება რეალისტი თურქი მწერლის საბახატინ ალის თვალით დანახული თურქეთი. პატარა ჰასანი გველანდება ამ მწერლის მოთხრობა „აირანიდან“.

ჰასანის დედა ხელზე მოსამსახურეა და კვირაში ერთხელ თუ მოაკითხავს ბავშვებს, რომ ბატონის ნასუფრალი მიაწოდოს. ორი მათგანი მთლად უმწეო პატარებია — შიმშილისაგან ღონემიხდილნი. კვირიდან კვირამდე მათი უფროსობა და მარჩენალობა ბედს ცხრა-ათი წლის ჰასანისათვის დაუკისრებია. ჰასანი თუნგით წყალ-წყალა მაწონის მსგავს რაღაც თეთრ ნაწურს, რომელსაც აირანს ეძახიან, გასაყიდად დაატარებს სოფლიდან ქალაქის სადგურზე. (ვაი, სახელმწიფოს, სადაც ერთი მუშტარიც კი გამოუჩნდება ამ საცოდავ წურუქს. მით უფრო ვაი იმ სახელმწიფოს, სადაც ერთი ოჯახიც კი ამ წურუქის „შემოსავლით“ ცხოვრობს!) მაგრამ პატარა ჰასანი ასაღებს მას თურქეთში. მხოლოდ ზამთრის ერთ ჯოჯოხეთურ, თოვლჭყაპიან დღეს დიდხანს ვერ გაყიდა თავისი „საქონელი“ ბიჭუნამ. ბოლოს ერთმა მუშტარმა გამოჰყო თავი მატარებლის ვაგონის სარკმლიდან და შესვლიპა ერთი ჭიქა ეს წურუქი. მაგრამ ხურდა არა ჰქონდა. ამასობაში მატარებელიც დაიძრა და გულმოკლული, არაქათგამოლეული, გათოშილი ჰასანი შეღამებულზე ბრუნდება უკან თავისი გაუსაღებელი აირანით, რომ პაწია ძმებს ეს მაინც მიაშველოს პურის ნაცვლად. გზა კი არ თავდება. ძალა ელევა. უკაცრიელ გზაზე ესმის მოახლოებული მგლების ღმუილი. თავზარდაცემული ბიჭი „ვაი დედას“ გაბმული ძახილით გარბის, ხის ქოშები ქუსლს უტყავებს... ბოლოს უღონოდ ეცემა. ღონემიხდილი თოვლში ეფლობა, მგლის ხროვა კი ღმუილით სულ უფრო უახლოვდება, გამოჩნდა კიდეც მათი მბზინავი თვალები...

გულდათუთქული მწერალი ბოლომდე არ ამბობს, მაგრამ მკითხველი გრძნობს ჰასანის გარდუვალ დაღუპვას. შინ კი მას ორი უმწეო, მშიერი პაწია ძმა ელოდებოდა.

კაპიტალისტური, ნახევრადკოლონიური თურქეთი სწორედ ეს მგლის ხროვაა უბრალო ადამიანებისათვის, მშრომელებისათვის. — შიმშილის, ბორკილების, ციხეების თურქეთი.

იმ ჰასანის ბედისანი არიან ტიბაშსგაღმელი პატარები, მოლა რომ მეჩითში მიერეკებოდა.

განა იმ ჰასანის ბედი არ ემუქრებოდა ალი თანდილავას, თურქულ მეჩითში ძალით თანთოლად მონათლულს?



სარფი. სოფლის ბიბლიოთეკაში.

მაგრამ შევიხედოთ ახლა იმ ჰასანის ბედს დიდი ხნის წინათ დაღწეული ალი თანდილავას ოჯახში:

* * *

კვირა დღეა. თბილი, მზიანი ამინდი დგას. ყველგან სიკოხტავე, ეზოებში სისუფთავე. ქვით მოფენილ შუკას მივყვებით. ხან აღმა ავყვავართ შუკას, ხან დაღმა ჩავყავართ. ერთი კარგად ჩაცმული სახემღიმარე ახალგაზრდა ყმაწვილი წამოგვეწია, გულითადად მოგვესალმა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო.

— გუშინ ჩამოსულხართ. ვერ შეგხვდით. მოგწონთ სარფი? — გვკითხა.

— გეტყობათ თქვენც ჩამოსული ხართ.

— როგორ გითხრათ, ახლახან ჩამოვედი, ისე კი აქაური გახლავართ. თქვენ ჩვენსას ყოფილხართ გუშინ. ბიბლიოთეკაში დავრჩი და ვერ მოგისწარით.

— მოიცათ, თქვენ ბაქრაძე ხართ?

— მურმანის ძმა ვარ, რეზო.

მოგვაგონდა, ჩვენ ხომ გუშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარის მურმან ბაქრაძის სახლში ვიყავით. სწორედ მან გვიამბო რეზოს შესახებ.

— აა, გასაგებია. ეს თქვენ ამზადებთ სადიპლომო შრომას?

— დავასრულე უკვე. ერთი საკითხი მაქვს დასაზუსტებელი. ბიბლიოთეკას არ აღმოაჩნდა ჩემთვის საჭირო წიგნი — ყიფშიძის „ჭანური ტექსტები“. ალის ექნება, ფილოლოგია, უნდა ავიდე ერთი მასთან.

— ალი ახლა სკოლაში დავტოვეთ, — ვუთხარით ჩვენ.

— ღები ხომ იქნებიან ან ძმა — ზურაბი... ალის წიგნები ბევრჯერ გადამიქექავს.

ნაკადულს რომ გადავედით, რეზო ერთ ჭიშკართან შედგა.

— ახლავე გამოვალ, მერე ჩვენსას წავიდეთ, — და ჭიშკარი შეაღო.

ამ დროს ოდის ზედასართულის აივნიდან შავგვრემანმა ახალგაზრდა ქალმა გადმოსძახა:

— ჭიშკართან რათ აჩერებ, ბიჭო, სტუმრებს, ვერ შემოიწვევ? — შეუწყრა იგი რეზოს. — მობრძანდით, მობრძანდით.

არაფრით არ მოგვეშვა. როცა ოდის დიდ დარბაზში შევედით, თვალი აგვიჭრელდა — ქალები, ბავშვები... რაღაც დიდი ფაციფუცია. პატივისცემით შემოგვეგებნენ, ზოგი შინაური იყო, ზოგი მეზობელი. სუფთა, გაკრიალებულ იატაკზე ატლასის საბნები გაუფენიათ ქალებს და მშვენიერი ოსტატობით აგვირისტებენ, ლამაზად ალიანდაგებენ. რეზო მასპინძლივით შეგვიძღვა ალის სამუშაო ოთახში. მას შემოჰყვა ალის და — ვერა — აივნიდან რომ გადმოგვძახა. ოთახში წიგნები... წიგნები... გადატვირთულია მაგიდები, თაროები... საწერ მაგიდაზე უზარმაზარი ხელნაწერი დევს — „ლაზეთის ისტორია“.

— აქ, ეტყობა, მეცნიერ მუშაკს ვისმე უმუშავნია.

— მეცნიერი მუშაკები ხშირად კი მოდიან ჩვენსას, მაგრამ ეს ალისაა. თანაავტორთან ერთად დაწერა აჭარის მუზეუმის შეკვეთით. უნდა გადაამუშაონ, — გვიპასუხა ვერამ.

— ვიპოვე! — სიხარულით წამოიძახა რეზომ წიგნების თაროსთან რომ იქექებოდა და დაიწყო წიგნის ფურცვლა.

ქალები დარბაზში თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ. ხანდახან ამოგვხედავდნენ ხოლმე გაღიმებული თვალებით. გაგვიტაცა განსაკუთრებით ერთი მათგანის ოსტატობამ. —

— ეს რა ოსტატი ყოფილა.

ვერამ ჩაიცინა.

— ის მარტო საბნის კერვის ოსტატი როდია, ციტრუსების მოყვანის ოსტატიც არის, სოციალისტური შრომის გმირია.

— აჰ, გვეცნობა. სტენდზე არ არის მისი სურათი?

— სტენდზეა. ზინაიდა მემიშშია.

დამორცხვებულმა ზინაიდამ მთლად ჩაღუნა თავი და განაგრძო საბნის კერვა.

— ახლა, ვერა, შენ ის უთხარი ამათ, თუ რას ფაციფუცობთ! უთხრა რეზომ.

ვერა გაწითლდა. მას მზითევს უმზადებდნენ.

— ვერ დავესწრები სამწუხაროდ შენს ქორწილს, ზეგ უნივერსიტეტში უნდა ვიყო.

ვერას გადაავიწყდა კიდეც ამ მოულოდნელ სიტყვებზე სიმორცხვე და რეზოს უსაყვედურა:

— ხომ შემპირდი, რეზო, დავრჩებიო!...

* * *

ასე ბედნიერად, კულტურულად, ხალისიანად ცხოვრობს რიგითი საბჭოთა სარფელის, ალი თანდილავას ოჯახი.

ვინ არის თვითონ ალი? — მოწინავე საბჭოთა ინტელიგენტი, ფილოლოგი, საბჭოთა სარფის რვაწლიანი სკოლის დირექტორი. ამ ოჯახში ოთხი პედაგოგია: ალი, მისი ცოლი კამელია, ძმა — ზურაბი, და—რუსუდანი. ორსართულიან, ლამაზად ნაგებ ლაზურ ოდაში ლამპა დიდი ხანია შეუცვლია ელექტროშუქს, ძალით გამაჰმადიანებული წინაპრების ყურანი — წიგნებს, ლოცვა — რადიომიმღებს.

საბჭოთა წყობილებამ თავი დააღწევინა მგლების ხროვისაგან ჰასანის ტოლ სოსო ვანიძეს — საბჭოთა სარფის რვაწლიანი სკოლის ხუთოსან მოსწავლეს. მზიანი დარი უდგათ სოსოს ტოლმეგობრებს — საბჭოთა სარფელ მოსწავლე გოგო-ბიჭებს. მათი მასწავლებლები — თანდილავები, ციალა ზღულაძე, ნატალია მარკინა სულაც არა გვანან მაჰმუთ მაკალს — დაბეჩავებულ თურქ მასწავლებელს, ვისმა ჩანაწერებმა, ამ რამდენიმე წლის წინათ თურქეთში გამოსულმა და ჩვენს პრესაში გადმობეჭდილმა, გული ბოღმითა და სიბრალულით აგვივსო:

„დადგა ივნისი... დილით ადრე გათენებისას მე ვიჩქარი მინდორში. როცა საღამოს შინ ვბრუნდები, საშინელი შესახედავი ვარ! პერანგი მეკვრის ტანზე, თმა აწეწილი მაქვს ისე, რომ დავარცხნა შეუძლებელია, ჭუჭყმა და ოფლმა თმა შავად შემიცემენტა. მთლად ჭუჭყიანი ვარ. ტანსაცმელი დახეული მაცვია და ადამიანებთან შეხვედრა მრცხვენიან. დაბანა შეუძლებელია, წყალი არ არის“...

აი მასწავლებლის ხვედრი თურქეთში. სხვანაირად არც შეიძლება კაპიტალის უღელქვეშ მგმინავ ქვეყანაში.

საბჭოთა სარფი არაფრით არ ჰგავს თურქულ სარფს.

სამოცდაათი კომლი ცხოვრობს საბჭოთა სარფში. ბათუმის რაიონში მოწინავეა სარფის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. რამდენიმე ათეული ჰექტარი ფართობი უჭირავს მას. ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, მეცხოველეობა, ვენახი, ხორბალი, სიმინდი და სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა კულტურა გამხდარა სარფელ კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების წყარო. შრომა, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, აქაც ღირსებისა და პატივის საქმეა. განა თავისუფალმა, ხალისიანმა შრომამ არ გახადა რიგითი კოლმეურნეები მიხეილ კახაილიში და ზინაიდა მემიშიში სოციალისტური შრომის გმირებად? განა თავდადებულმა, ხალისიანმა შრომამ არ მოახვეჭინა ლენინის ორდენი ხასან ბექირიშსა და მუჰამედ მემიშიშს, ორდენები — რამიე ბაქრაძეს და ილია მემიშიშს?

რიგითი კოლმეურნის მ. ნარაკიძის ოჯახმა მარტო ერთ წელიწადს 50 ათასი მანეთი ფულად და ცხრა ტონა მარცვლეული ნატურით მიიღო კოლმეურნეობიდან.

ახლა გადავხედოთ მაჰმუთ მაკალის აღწერილ თურქი გლეხის ოჯახს: „გლეხების უმრავლესობა ჭამს ხმელ პურს, ხახვს, მაწონს — ეს ყველაფერია. ბურღული ძალიან იშვიათად აქვთ. ჩემს მეზობელს ორი შვილი ჰყავს: გაზაფხულზე ისინი ბალახს ჭამენ, ზამთარში — ხმელ პურს. მთელი მისი სახლის მოწყობილობაა ძველი ტომარა, ძველი ფარდაგი და რამდენიმე ცხვრის ტყავი. დედა-შვილთ ზამთარ-ზაფხულ ფარდაგზე სძინავთ, ცხვრის ტყავს იხურავენ. ღმერთმა უშველოთ და მოთმინება მისცეთ!“

თურქულ სარფს, რომელიც ჩვენი მხრიდან ხელისგულივით ჩანს, ერთი ახალი სახლიც არ შემატებია. მხოლოდ ჩვენებმა რომ კლუბი ააგეს და თეთრად შეღებეს, მათ მეჩითი შეღებეს. კიდევ ერთი, დანგრევის კარზე მისული ორსართულიანი, ადამისდროინდელი სახლი შეღებეს. სულ ეს არის თურქული სარფის მშენებლობა!

თურქულ სარფში, ისევე როგორც მაჰმუთ მაკალის სოფელში, ნავთის ლამპა დიდი ცივილიზაციის ნიშნად ითვლება.

ჩვენს სარფში კი მდინარე კანლიდეზე ელექტროსადგურია აგებული და მთელ სოფელს შუქს აძლევს.

კოლმეურნეობა, რომელსაც უმაღლესი განათლების მქონე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმის წევრი მურმან ბაქრაძე ხელმძღვანელობს, მილიონერია. ისე წელიწადი არ გაივლის, რომ აქ ორმასამმა კოლმეურნემ არ აიგოს ახალი ოდასახლი. შენდება და მშვენდება სოფლის ცენტრიც.

ორი სარფი, ორი სამყარო!

აი როგორ ხელშესახებად დაგვიხატა პოეტმა შუაზე გაყოფილი ორი სარფის მართალი სურათები:

წყალგაღმა აღარ ჰყავის ვენახი,
თვალს არ ახარებს გამოსვლა კვირტის,
ერთ ძმის შვილს სკოლის ზარი ეძახის,
მეორის შვილი მიზგითში მიდის.

ჩვენ ზემოთ მდინარე კანლიდე ვახსენეთ. იგი დღეს სინათლეს იძლევა, ელექტროშუქს იძლევა, მაგრამ იგი არაერთხელ შეღებილა სისხლით წყეულ წარსულში თურქ ბარბაროსებთან ქართველთა შეტაკებისას. და კანლიდე ხომ ქართულად სისხლიან ღელეს ნიშნავს.

შორეული წარსულის ცოცხალი მატიანეებიც მოიპოვებიან საბჭოთა სარფში. ჩვენ გვესაუბრა ენაწყლიანი მოხუცი ლაზი ალი ნუმანიშვილი. მას აუღელვებლად არ შეუძლია წყეული წარსულის მოგონება.

— ეჰ, — ამოიოხრა მოხუცმა და გაღმა, სარფისკენ ათრთოლებული ხელები გაიშვირა, — იქ ბევრი ჩვენი ძმა ცხოვრობს. მე ექიმი შვილი გავზარდე, იმათი შვილები კი ვინ იცის როგორ იტანჯებიან იქ მტარვალების ხელში.

ვინ უკლავს დღეს გულს ტიბაშგაღმელ ჩვენს მოძმეებს? — თურქი დამპყრობლები, ოკეანეს გაღმელი ბიზნესმენები.

მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს — არის მშრომელების თურქეთი, არის ჰიქმეთისა და უსტიუნგელის თურქეთი, იგი გაიმარჯვებს!

ვინ უხარებს გულს ტიბაშგამოღმელ ჩვენს ადამიანებს, ვის ვუმადლით დღეს საბჭოთა სარფის მშვიდობიან ცხოვრებას, მისი საზღვრების ხელუხლებლობას? — საბჭოთა ხალხს დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, გმირ საბჭოთა არმიას, კომუნისტური პარტიის ბრძნულ წინამძღოლობას.

დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო!

ვლ. თოიძუა,
ელ. უბილავა.

სარფი. თებერვალი.

## პროფესორ კრიენსის წერილი ვ. ს. სემიონოვისადმი

ბერლინი, 22 თებერვალი. (საკდესი). [illegible]

[illegible] იცავდნენ მის უფლებას — გაერთიანდეს ერთიან მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ და დამოუკიდებელ გერმანიაში.

საბჭოთა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის ხელმძღვანელობით კვლავ დაამტკიცა თათბირზე, რომ საბჭოთა ხალხი და მისი მთავრობა მუდამ მოქმედებენ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად და ამიტომ გერმანელი ხალხის საუკეთესო და უერთგულესი მეგობრები არიან. წინადადებანი, რომლებიც ბ-ნმა ვ. მ. მოლოტოვმა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე შეიტანა სავსებით შეესაბამება გერმანელი ხალხის ეროვნულ მოთხოვნებს.

გერმანელი ხალხი ყოველ ღონეს იხმარს, რათა საკუთარი ძალებით, მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს საერთო ეროვნული საკითხი გერმანიაში და ამრიგად თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

გთხოვთ, ბ-ნო ელჩო, გადასცეთ მთელ საბჭოთა ხალხს, მის მთავრობას, საბჭოთა დელეგაციას და განსაკუთრებით ბ-ნ ვ. მ. მოლოტოვს გერმანელ პატრიოტთა უდიდესი მადლობა“.

## ინგლისელი მუშა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

ლონდონი, 23 თებერვალი. (საკდესი). ლონდონში გამოქვეყნდა მანჩესტერელი მანქანათმშენებელი მუშის გ. დევისის ბროშურა. დევისი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 1953 წლის მაისში როგორც ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრი.

ეხება რა საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ მიღწევებს კულტურული მშენებლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში, დევისი წერს, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ მკაფიო შთაბეჭდილება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად. „ჯერ-ერთი, საბჭოთა მთავრობა სარგებლობს საბჭოთა ხალხის დიდი უმრავლესობის პატივისცემითა და მხარდაჭერით. მეორე, საბჭოთა კავშირის მუშათა ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა ომის შემდეგ... მესამე, თუმცა საბჭოთა კავშირი მზად არის დაიცვას თავი, მაგრამ ომის ფსიქოლოგია უცხოა საბჭოთა ხალხისათვის“.

## წყალდიდობა ავსტრალიაში

სიდნეი, 23 თებერვალი. (საკდესი). როგორც მელბურნის რადიო იუწყება, წყალდიდობის შედეგად ავსტრალიის ახალი სამხრეთი უელსის შტატის სანაპირო რაიონებში 23 კაცი დაიღუპა. გარდა ამისა, ბევრი უგზოუკვლოდ დაიკარგა. წინასწარი ცნობებით, წყალდიდობით მიყენებული ზარალი რამდენიმე მილიონ ავსტრალიურ გირვანქას უდრის. განსაკუთრებით ძლიერ დაზიანდა რკინიგზის ლიანდაგები. ვარაუდობენ, რომ სიდნეისა და ბრისბენს შუა დაზიანებული რკინიგზის ხაზის აღდგენას ორი კვირა დასჭირდება.

## სოფიაში გაიხსნა ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი

სოფია, 24 თებერვალი. (საკდესი). [illegible]

## ინგლისური გაზეთები ინგლისის ვაჭრობასა და ნაოსნობაში ამერიკის ჩარევის შესახებ

ლონდონი, 23 თებერვალი. (საკდესი). ინგლისური გაზეთები კომენტარს უკეთებენ ინგლისის ნაოსნობის პალატის ყოველწლიური მოხსენების ცნობას იმის შესახებ, რომ როცა შორეულ აღმოსავლეთის ნავსადგურებისკენ მიმავალი ინგლისის სავაჭრო გემები ამერიკის ნავსადგურებში შედიან, ამ გემებზე სხამენ ამერიკის შეიარაღებულ მცველებს და რომ ამერიკის სამხედრო ხომალდები კვალდაკვალ მიჰყვებიან ინგლისის სავაჭრო გემებს, როცა ისინი ამერიკის ერთი ნავსადგურიდან მეორეში მიდიან. „დეილი ჰერალდი“ სარედაქციო სტატიაში წერს: „თვითონ შეერთებული შტატები არასოდეს არ მოითმენდნენ თავიანთ ნაოსნობაში ასეთ ჩარევას. მათ უნდა შეწყვიტონ ეს. მაკარტის შესახებ ყველაზე განსაცვიფრებელი ფაქტი ის არის, თუ რა დიდ ანგარიშს უწევენ მას ამერიკაში... მეტი პატივისცემა უნდა გამოვიჩინოთ ქვეყნებს შორის წესიერი ურთიერთობისადმი და ნაკლები პატივისცემა ამ პოლიტიკური ავანტიურისტისადმი“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში წერს: საზღვარგარეთ შეერთებული შტატების ყველაზე მახლობელ მეგობრებსაც კი უძნელდებათ ხშირად დამშვიდებულად მოეკიდონ იმ საქმიანობას, რომელიც მაკარტის სახელით ხორციელდება. მისმა თავდასხმებმა ამერიკის მოკავშირეებზე და განსაკუთრებით მისმა ბრალდებებმა ინგლისის მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან, გაღიზიანებაზე მეტი რამ გამოიწვია.

## ინდოჩინეთის ხალხთა ბრძოლა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ

პეკინი, 23 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ ვიეტნამის, კხმერისა და პატეტლაოს ხალხთა ბრძოლისადმი მიძღვნილ სტატიაში წერს, რომ შვიდი წლის ომის განმავლობაში ვიეტნამის სახალხო არმიამ მთელი რიგი მძიმე დარტყმები მიაყენა ფრანგ აგრესორებს, მოსპო მტრის 320 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩრდილოეთ ვიეტნამში, აღნიშნავს გაზეთი, სახალხო არმიამ გასული წლის დეკემბერში გაათავისუფლა ქალაქი ლაი-ჩაუ, რომელიც კოლონიზატორთა ხელში იყო შვიდ წელიწადს. ცენტრალურ ვიეტნამში წითელი მდინარის დელტაში სწრაფად ვითარდება პარტიზანული მოძრაობა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა ამ რაიონში სახალხო შეიარაღებული ძალების აქტივობაც, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დიდმნიშვნელოვან კომუნიკაციებსა და ქალაქებს, რომელნიც ჯერ კიდევ ფრანგი ოკუპანტების ხელშია.

სახალხო არმიამ და პარტიზანებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამში.

ფრანგი ოკუპანტების წინააღმდეგ წარმატებით იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხები. პატეტ-ლაოს განთავისუფლებული რაიონების ფართობი ახლა 100 ათასამდე კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მისი მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით ერთი მილიონია. უკვე განთავისუფლებულია კხმერის ერთი მესამედი, რომლის მოსახლეობა ერთ მილიონს შეადგენს.

მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, წერს შემდეგ გაზეთი, მოედო მთელ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულს. ჩრდილოეთი და ცენტრალური ვიეტნამის აგრეთვე პატეტლაოს ჩრდილოეთი ნაწილის განთავისუფლებული რაიონები ერთიანი ვრცელი განთავისუფლებული მხარე გახდნენ. სახალხო არმიების საბრძოლო წარმატებებმა კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენეს ფრანგი კოლონიზატორები.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ფრანგ კოლონიზატორებს სულ უფრო მეტად ეხმარებიან ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც ინდოჩინეთში ინტერვენციის აქტიური მონაწილე არიან. შეერთებული შტატები დიდი სახსრებითა და დიდძალი იარაღით ეხმარებიან საფრანგეთის აგრესიულ ძალებს. ისინი კორეაში დაზავების შემდეგ კიდევ უფრო აშკარად ჩაერივნენ ინდოჩინეთის ომში, აფინანსებენ ახალ სამხედრო ხარჯებს, გააქტიურეს იარაღის მიწოდება და უშუალოდაც კი გზავნიან თავიანთ მფრინავებს ინდოჩინეთში. მაგრამ მუდმივი დამარცხება, რასაც საფრანგეთის აგრესიული ძალები განიცდიან, მოწმობს, რომ ამერიკის „დახმარებას“ არ ძალუძს სრულ ჩაფუშვას გადაარჩინოს კოლონიური ომი.

## „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ

### საფრანგეთის ხელოვნების მოღვაწეთა მიმართვა პარლამენტის დეპუტატებისადმი

პარიზი, 23 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, 200 თვალსაჩინო ფრანგმა მსახიობმა, რეჟისორმა, მწერალმა, კომპოზიტორმა და კრიტიკოსმა მიმართა პარლამენტის ყველა დეპუტატს მოწოდებით ხმა მისცენ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

მიმართვაში ნათქვამია, რომ ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნა პრაქტიკულად მისცემდა გერმანელ მილიტარისტებს შესაძლებლობას გაეჩაღებინათ ახალი ომი, რადგან „ევროპის არმიის“ საფარით აღდგენილ იქნებოდა ნაცისტური ვერმახტის დივიზიები.

ხელოვნების მოღვაწეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სადავო საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის გზაა შეიარაღების შემცირება და ყველა ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოება.

## იზრდება თურქეთის სამხედრო ხარჯები

ანკარა, 23 თებერვალი. (საკდესი). [illegible] მილიონ თურქულ ლირას.

## ინგლისის ავიაციის მინისტრის განცხადება

ლონდონი, 23 თებერვალი. (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის ცენტრალური ბიურო იუწყება, ავიაციის სამინისტროს ასიგნებათა ხარჯთაღრიცხვის განმარტებითს ბარათში, რომელიც 22 თებერვალს გამოქვეყნდა, ავიაციის მინისტრი დე ლაილ ენდ დადლი აღნიშნავს, რომ 1954-1955 საფინანსო წელს ინგლისი თვითმფრინავებსა და სამხედრო-საჰაერო ძალების სხვა შეიარაღებაზე დახარჯავს 20.250 ათასი გირვანქა სტერლინგით მეტს, ვიდრე 1953-1954 წელს.

## „არაბთა ქვეყნები არ შევლენ იმპერიალისტურ ბლოკებში“

### ეგვიპტის გაზეთის სტატია

კაირო, 22 თებერვალი. (საკდესი). ეხება რა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წინაშე „ღიაა კარი“ თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებასთან შეერთებისათვის, ეგვიპტის გაზეთი „ალ-გუმჰურია“ მოწინავე სტატიაში წერს:

„პაკისტანსა და თურქეთს შეუძლია შეუთანხმდნენ ერთმანეთს რა საკითხშიც სურთ, მაგრამ მათ უფლება არა აქვთ ჩააბან არაბი ხალხები დასავლეთის სამხედრო ავანტიურებში. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ისლამი გამოიყენონ შირმად, რომლის უკან იფარება იმპერიალისტური მანევრები არაბთა და მუსლიმანურ ქვეყნებში... ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი ვაშინგტონში, რომ შუა აღმოსავლეთის არაბი და მუსლიმანი ხალხები უარს ამბობენ შევიდნენ იმ კარში, რომელსაც იმპერიალიზმი უღებს მათ „ერთობლივი თავდაცვის“ ან „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ ან სხვა რომელიმე აზრით. ვერავითარი ახალი იმპერიალისტური ბლოკი, რა სახელწოდებითაც უნდა ნიღბავდნენ მას, ვერ დაარწმუნებს შუა აღმოსავლეთის მუსლიმან და არაბ ხალხებს გაყიდონ თავიანთი ეროვნული თავისუფლება ან ხელი აიღონ იმპერიალიზმისა და მისი ზრახვების წინააღმდეგ ბრძოლაზე“.

## დამთავრდა მასწავლებელთა გაფიცვა ინდოეთში

დელი, 22 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ იუწყება, სრულიად ბენგალიის მასწავლებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ მონორანჯან სენ გუპთამ დასავლეთ ბენგალიის შტატის მთავრობის მთავარ მინისტრს აცნობა, რომ გადაწყდა შეწყდეს მასწავლებელთა გაფიცვა, რომელიც 12 დღეს გრძელდებოდა. შტატის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაათავისუფლებენ გაფიცვის დროს დაპატიმრებულ ყველა პირს, იმათ გარდა, ვისაც ბრალდება „ძალადობის აქტები“.

როგორც პრესა იუწყება, ხელისუფლებმა დააკმაყოფილეს გაფიცულ მასწავლებელთა მთელი რიგი მოთხოვნები, კერძოდ, მთავრობა დათანხმდა გაუდიდოს მასწავლებლებს ხელფასი.

# თბილისი



თბილისში ლენინის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადასცეს საქნავთის ტრესტის ადმინისტრაციული ხუთსართულიანი შენობა, რომელშიც 55 ოთახი და ერთი სააქტო დარბაზია. შენობის საერთო სასარგებლო ფართობი 2.320 კვადრატული მეტრია. მას ამშვენებს არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული, წითელი მარმარილოთი მოპირკეთებული სვეტებიანი ფასადი. შენობის პროექტის ავტორია არქიტექტორი მ. ნეპრინცევი. სურათზე: საქნავთის ტრესტის ადმინისტრაციული შენობის ფასადი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა

ქალაქის ქრონიკა

## ფაბრიკის [illegible] საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში წლითიწლობით უმჯობესდება მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

შარშან ამ მიზნით პროფკავშირული ორგანიზაციის სახსრებიდან და დირექტორის ფონდიდან დაიხარჯა 400 ათას მანეთამდე. საწარმოს აქვს კარგად მოწყობილი კლუბი, ბიბლიოთეკა 11 ათასი წიგნით, ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები. ნათელ ოთახებში მოთავსებულია პოლიკლინიკა, საბავშვო ბაღი და ბაგა. საგარეუბნო კურორტ კიკეთში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის გაიხსნა დასასვენებელი სახლები. ზაფხულში იქ მრავალმა ათეულმა მუშამ დაისვენა.

მიმდინარე წელს პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტმა ადმინისტრაციასთან ერთად დასახა წარმოების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. მრავალი ასეული ათასი მანეთია გამოყოფილი კლუბის გასაფართოებლად და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

## ბროლი

თბილისის ბროლის სპეციალიზებულმა მაღაზიამ (რუსთაველის პროსპექტი) მოსკოვის ბროლის ქარხნიდან მიიღო დიდძალი ბროლის ნაწარმი — წყლისა და არყის ტოლჩები თავის ჭიქებიანად, ყვავილისა და ხილის ვაზები, მურაბის ლამბაქები და სხვ., სულ 150.000 მანეთის საქონელი.

## ნ. გ. მეგრელიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიული კათედრის დოცენტმა ნ. გ. მეგრელიშვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მასალები სახსართა რევმატული ანთების ლეფსურათი მკურნალობის საკითხისათვის“.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ნ. გ. მეგრელიშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## საბავშვო ჟურნალის გეგმის განხილვა

ამ დღეებში ჟურნალ „დილის“ რედაქციაში შედგა საბავშვო მწერლებისა და მხატვრების თათბირი სარედაქციო კოლეგიასთან ერთად. ესწრებოდნენ საბავშვო ბაღების აღმზრდელებიც. თათბირმა განიხილა ჟურნალ „დილის“ რედაქციის მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა.

გეგმის შესახებ აზრი გამოთქვეს მწერლებმა ი. სიხარულიძემ, ბ. ჩხეიძემ, მ. ლებანიძემ, ნ. ჩაჩავამ, მხატვრებმა შ. ცხადაძემ, ვ. ჯაფარიძემ, მე-3 საბავშვო ბაღის აღმზრდელმა — ლ. კევლიშვილმა და მეთოდკაბინეტიდან — თ. აბაშიძემ.

ამხ. ლ. კევლიშვილმა სამართლიანად უსაყვედურა პოეტებს, რომ მათ დავიწყებული ჰყავთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მათთვის სასიმღერო ლექსებს არა წერენ.

დასასრულ გამოვიდა ჟურნალის რედაქტორი ი. ნონეშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ სარედაქციო კოლეგია სამუშაო გეგმაში გაითვალისწინებს თათბირზე გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს.

## არტელ „პოლიგრაფის“ ახალი ნაწარმი

საქკოოპინკავშირის არტელი „პოლიგრაფი“, რომელიც ძირითადად საკანცელარიო ნივთებს ამზადებს, უშვებს აგრეთვე საგალანტერიო ნაწარმს. გასული წლის ბოლოსათვის არტელმა გამოუშვა ნახევარი მილიონი მანეთის ქალისა და ბავშვის საწვიმრები, მუშამბა, წინსაფრები, სამეურნეო ჩანთები და სხვ.

წელს „პოლიგრაფმა“ კიდევ უფრო გაადიდა ფართო მოხმარების საგნების დამზადება. გაიხსნა ახალი საამქროები. უახლოეს დღეებში თბილისის მოსახლეობა მიიღებს ქალის ლამაზ ჩანთებს, სხვადასხვა სახის ღილებს, ჩემოდნებს.

**18 მარტს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია საქართველოს პროფკავშირთა მესამე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია**

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 16, 17 და 18 მარტს საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში (გრიბოედოვის ქ. № 19), ხოლო კონფერენციის გახსნის დღეს — საღამოს 6 საათიდან რკინიგზელის სახლში (პლეხანოვის პროსპექტი № 127-ა).

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

# ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის მშენებლობის გზაზე

25 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ ხალხის მტრებზე — რეაქციის ბნელ ძალებზე დიად გამარჯვებას.

როგორც ცნობილია, 1945 წლის მაისში ჩეხოსლოვაკია სახელოვანი საბჭოთა არმიის დახმარებით საბოლოოდ განთავისუფლდა ჰიტლერელ დამპყრობთა ბატონობისაგან და ახალი ცხოვრების გზას დაადგა. მაგრამ მომდევნო პერიოდში 1948 წლის თებერვლამდე ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს ჩეხოსლოვაკიაში საიმედო დასაყრდენი ჰყავდათ არა მარტო კაპიტალისტი მრეწველების, ვაჭრებისა და კულაკების სახით, არამედ მთავრობის ზოგიერთი წევრების სახითაც.

სამშობლოს მოღალატეებს აქეზებდა და მითითებებს აძლევდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი შტეინჰარდტი, რომელიც ხალხის მტრებთან ერთად დარწმუნებული იყო, რომ ჩეხოსლოვაკია გამოყვანილი იქნებოდა მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკიდან და ომისა და იმპერიალიზმის ბანაკში მოექცეოდა.

1948 წლის 20 თებერვალს ამერიკელ იმპერიალისტთა მითითებით 12 რეაქციონერმა მინისტრმა უარი განაცხადა დასწრებოდა მთავრობის სხდომას. ამით მათ კონტრრევოლუციური აჯანყების დაწყების სიგნალი მისცეს რეაქციის ბნელ ძალებს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმულმა მშრომელებმა ღირსეული პასუხი გასცეს კონტრრევოლუციონერ ნაძირალებს. გარეშე და შინაური მტრების განზრახვა ჩაიფუშა. მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირმა უზრუნველყო საბედისწერო საფრთხის თავიდან აცილება. ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა შენარჩუნებულ იქნა. შეიქმნა ახალი, ნამდვილად სახალხო მთავრობა კლემენტ გოტვალდის მეთაურობით.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც დოლარებს არ ზოგავენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, შემდეგაც სცადეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რიგებში მოეძებნათ გადაგვარებული ნაძირალები და, ამგვარად, შეექმნათ საიმედო „მეხუთე კოლონა“. მაგრამ კომუნისტური პარტიისა და ხალხის ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია სლანსკისა და მისი თანამზრახველების მტრული საქმიანობა და ეს საშიშროებაც დაუყოვნებლივ ლიკვიდირებულ იქნა.

თებერვლის ამბებმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა ჩეხოსლოვაკიის ხალხი, მტკიცედ დარაზმა იგი სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცების, სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მთავარი პირობაა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა.

ეხებოდა რა საბჭოთა სახელმწიფოსთან მეგობრული კავშირის მნიშვნელობას, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კლემენტ გოტვალდი აღნიშნავდა, რომ სახალხო დემოკრატიის ბედი, რევოლუციის მონაპოვართა ბედი ჩეხოსლოვაკიაში, ისევე როგორც თვით სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, პირდაპირ დამოკიდებულია საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობაზე.

საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით ჩეხოსლოვაკიის მშრომელები წარმატებით შეუდგნენ სახალხო მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელებას. 1949 წელს მიღებულ იქნა პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, რაც ასე აუცილებელია სოციალიზმის მშენებლობისათვის.

მთელი ხალხი ჩაება ცხოველმყოფელ, შემოქმედებითს შრომაში. სწრაფი ტემპით ხდება ჩეხიისა და სლოვაკიის ქალაქებისა და სოფლების გარდაქმნა. შენდება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, იქმნება მძლავრი კომბინატები, მუშათა დაბები; ყალიბდება ახალი, სოციალიზმის მშენებელი ადამიანი, რომელიც თავს აღწევს კაპიტალისტური ცხოვრების მახინჯ ტრადიციებს და პირადულზე მაღლა აყენებს საერთოს, საზოგადოებრივს.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვება ჯერ კიდევ 1952 წელს ერთიორად გაადიდა ომამდელ პერიოდთან შედარებით. 1953 წელს წარმატებით შესრულდა პირველი ხუთწლიანი გეგმა.

პირველი ხუთწლედის ერთ-ერთი უდიდესი მშენებლობაა კლემენტ გოტვალდის სახელობის კუნჩიცის მეტალურგიული კომბინატი.

— შევასრულოთ დავალება, განვამტკიცოთ მშვიდობა! — ასეთი ლოზუნგით მუშაობდნენ მშენებლობაზე მშრომელები, რომლებიც მეორე ბრძმედის ამუშავებასთან დაკავშირებით მთავრობის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში წერდნენ — ეს მშენებლობა ჩვენთვის სოციალიზმის სკოლად, ცხოვრების სკოლად გადაიქცა.

ყველაფერი კეთდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. 1952 წლის დამლევს ჩეხოსლოვაკიაში 8.858 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იყო. მანქანატრაქტორთა პარკში 1953 წელს იყო 25 ათასი ტრაქტორი. სწრაფად იზრდება სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა.

პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად მანქანათმშენებელმა მრეწველობამ 3,3-ჯერ გაადიდა პროდუქციის გამოშვება. 1953 წელს 1937 წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა ერთისამად, ფოლადისა — ერთიორად, ქვანახშირისა — 1,5-ჯერ. ახლა მოსახლეობის თვითეულ სულზე ჩეხოსლოვაკიაში მეტი ფოლადი მოდის, ვიდრე ინგლისში.

ხუთწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 64 პროცენტით გადიდდა. მრეწველობის მუშების ხელფასი გადიდდა 56 პროცენტით. შარშან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე სახელმწიფომ 81 პროცენტით მეტი დახარჯა, ვიდრე 1949 წელს. 1953 წლის ნოემბერში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მშვიდობისა და დემოკრატიის დიდ ბანაკთან ერთად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მას მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის ყველა ქვეყანასთან. რესპუბლიკის მშრომელები ფხიზლად იცავენ სამშობლოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას და საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით, მომავლის რწმენით აშენებენ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას.

კ. გიორგიძე.


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

დ ღ ე ს
საცირკო კოლექტივის და ატრაქციონის
„დათვების ცირკის“
გასტროლების გაგრძელება
ვალენტინ ფილატოვის
ხელმძღვანელობით
დიდი განახლებული საცირკო წარმოდგენა
3 განყოფილებად
„მობრძანდით, იცინეთ“
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II—3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 26 თებერვალს | დ. თორაძე— **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). |
| 27 თებერვალს | ზ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მეუღლე ანდრო, შვილები ალექსანდრე, დიმიტრი, ბიჭიკო, მარო, ნათელა, ქენია, რძლები როზა, ქეთო ნოდიები იუწყებიან **ანა იოსების ასულ ნოდიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-II, 4 ს. დაბა ბოლნისში.

და ელპიტი, ძმები სამსონ, ვასო, ვანო ვანიძეები, რძლები სონა, ლენა, ძმისწულები ალექსანდრე, გუგული, სუსანა ოჯახებით იუწყებიან **ვერა ჯაინოზის ასულ ვანიძე-თალაკვაძის** გარდაცვალებას.

მამიდა ნინო, და ლიანა იუწყებიან **ოთარ მიხეილის-ძე მელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-II, 8 ს. გამოსვენება 28-II ჭოროხის ქ. № 8.

დეიდაშვილები ქეთო, ნოე მესხები, თალიკო, დავით ანთაძეები, ალექსანდრე, ანგელინა გაბიჩვაძეები შვილებით იუწყებიან **გრიგოლ კონსტანტინეს-ძე გაბაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-II, 5 ს. ვახუშტის ქ. № 11.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კოლექტივი იუწყება სამინისტროს თანამშრომელ **ალექსანდრა სიმონის ასულ ნემსაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები ირაკლი, გიორგი, დები ვალენტინა, მარიამ, თამარ, ნინო, ალექსანდრა, ზინა, ძმა ალექსანდრე იაშვილები ოჯახებით, სიძე ს. მხეიძე იუწყებიან **ვალოდია იაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-II, 8 ს. გამოსვენება 27-II, 2 ს. შაუმიანის ქ. № 53.

შვილი ელენე დავითაშვილი, და ნინო ხოსიტაშვილი, მული მართა თათარაშვილი იუწყებიან **ალექსანდრა გიორგის ასულ დავითაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-II, 8 ს. გამოსვენება 27-II, 4 ს. ბარნოვის შესახვევი № 30.

მეუღლე ანა, შვილები ელენე, შალვა, რძალი ნელი ქუთათელაძე, სიძე ბ. ჯაოშვილი, შვილიშვილები შოთა, ჯონდო, ნანული იუწყებიან **ალექსანდრე მიხეილის-ძე ხაინდრავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-II, 8 ს. გამოსვენება 27-II, 5 ს. ჯავახიშვილის ქ. №11.

დედა ეფროსინე, მეუღლე ელენე, შვილები ლამარა, ჯემალ, ლილი, ძმა ამბროსი, დები ნადია, ლეო, რძლები მარო, მარიამ იუწყებიან **ალიოშა ნესტორის-ძე კაკაბაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-II, 8 ს. გამოსვენება 28-II, 4 ს. დაღისტნის ქ. № 8.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მზა საქონლის საწუნდებულო განყოფილების კოლექტივი იუწყება **ფარნაოზ მაქსიმენის-ძე ბერძენიშვილის** გარდაცვალებას.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ნადია ალექსანდრეს ასულ გოთუა-ჭყონიას** გარდაცვალებას.

დეიდაშვილები მიხეილ და ოლია კუკულაძეები შვილით თუნონათი და სიძით ოთარ მგელაძით იუწყებიან **ვერა დავითის ასულ თალაკვაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-II, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 5.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თანამშრომლები იუწყებიან **მატრონე პეტრეს ასულ ქორქიას** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

და ელენე ნემსაძე იუწყება **ალექსანდრა სიმონის ასულ ნემსაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-II, 4 ს. აზიზბეკოვის აღმართი № 5.



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და ნარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის—3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00642 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“